




— რა მოგვითხანეთ?
— კარაქი, შაქარი, სკოფი, სარეცხის ფხვნი-
ლი, ზეთი..

თეარ ხაიამი სრული დაპოუბიდეპლოპის უესახეპ



ორი დღის თავშესაზახი თუ გაქვს ერთი პური, ყელმოტეხილ დოქში — წყალი ცივი, საამური, — დამოუკიდებლობა გაქვს

ეკონომიკური — რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს, ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური?! — ადექი და, დაიცავი ნორმა ეთიკური — გამოიყენე უფლება კონსტიტუციური — და — დამოუკიდებლობა — მოიპოვე სრული!

სრული ტექსტი მოიპოვა
წაურ ბოლქვაძემ
ილუსტრაცია ჯ. ლოლუასი

ტალონები, ტალონები — ჭრალი, ფარად-ფარადი!..

როგორც ვიცით, ყოველ-თვიურად ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილია 400 გრამი ყველი-სა და 600 გრამი კარაქის ტალონები. ეს ნიშნავს იმას, რომ თვეში, რომელიც შეიცავს 30 დღეს, ყველის დღიური ულუფა უდრის 13,3 გრამს, ხოლო 31-დღიან თვეში კი — 12,9 გრამს.

შედარებით უკეთ გამოიყურება თებერვალი: 29-დღიან თებერვალში ყველის დღიური ნორმა 13,8 გრამია, ხოლო 28-დღიანში — 14,9 გრამი.

მჭადის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ უახლოესი 28-დღიანი თებერვალი იქნება 1992 წელს!

კარაქის დღიური ნორმატივი კი ასე გამოიყურება: 30-დღიან თვეში — 20 გრ., 31-დღიან თვეში — 19,4 გრ., 29-დღიან თებერვალში — 20,7 გრ. და 28-დღიანში — 21,4 გრ.

ერბო-კვერცხისა და ნამცხვრების მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ მათთვის უხვდღიანი თებერვალი იმავე წელს იქნება, რა წელსაც მჭადის მოყვარულთათვის!

უცხიმოთა გაერთიანების ტრესტი

ალო! ჩვენ ვეჩებით
ტალანტებს!

ვაცხადებთ კონკურსს!

ვეძებთ ყველის დამჭრელებს! კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სქესისა და პროფესიის ადამიანს 18 წლის ასაკიდან!

კონკურსის პირობები: ვინც უდანაკარგოდ (უნამცეცოდ და დაუფშვნელად) დაყოფს 400 გრამ ყველს 31, 30 ან 29, 28 ნაწილად, პრემიის სახით მიიღებს ერთ თავ ყველს (გაუჭრელად).

მისამართი: გუდის ყველის ჩიხი, № 13 (ტელეფონი არ მუშაობს).

განცხადება ქვეყნდება მეთვრამეტედ.

P.S. რაც შეეხება შაქარს (1,5 კგ), იგი შედარებით ადვილი გასაყოფია და აფთიაქის სასწორს არ საჭიროებს. ამის გამო იგი ჩვენს კონკურსში არ შედის!

განათლების სამინისტროს თბილისის აბა თუ იმ რაიონებში მცხოვრებ უმარილოთა განცხადება

გთხოვთ ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანოთ ხალხური ლექსი „აღზევანს წასვლა“, რათა მარილის სახელი არ დაავინყდეთ ბავშვებს!

ჩვენა-დარიგება მშობლებს:

ვისაც გასურთ მარილების დაგროვება, ვაცნობებთ, რომ აღზევანი (ყალიზმანი) მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. ყარსის ვილაიეთში. მართალია, ჩვენი წინაპრები იქიდან ეზიდებოდნენ სუფრის მარილს, მაგრამ ამჟამად ეს ადგილი არ შედის ტურისტული მოგზაურობის მარშრუტში!

საზაპრიკო რაიონის
საბინაო საგმართველო
უფროსს
აბავე რაიონში მცხოვრებ
პარიტა მიშველეშვილის
განცხადება

მშავს ექვსი შვილი, ვცხოვრობ ოროთახიან ბინაში, არ გამაჩნია არავითარი სათავსო.


ვინაიდან განვიცდით საცხოვრებელი ფართის სივინროვეს, გთხოვთ გამოგვიყოთ ერთოთახიანი ბინა (ამავე რაიონში) ზამთრის პროდუქტების მარაგის შესანახად.

რეზოლუცია: პროდუქტები რომ გიმოვიტო და შეგიძენიათ, ეს თქვენს ვაჟკაცობაზე მეტყველებს. ვაჟკაცს კი მოთმინება შეჰფერის!

რაც შეეხება ბინას, ვერ გამოგიყოფთ, ვინაიდან ჩვენ თვითონ განვიცდით სივინროვეს.

ზამთრის მარაგი, უმჯობესია, მეზობელ-ნათესავეებში დააგროვოთ!

სულიკო ნუცუბიძე



ნახ. ბ. ზუგაშვილისა



— ღმერთო, შენ მიშველე!

გზასაცდენილისადმი

შენ, სახწავლეებელს უმადლებს, რესტორნის ჭერი არჩიე, რომ შეეჩვიე ალკოჰოლს, — ვერაფრით გადაგაჩვიეს! შენ, სტუდენტური მერხს, გაშლილი სუფრა-მაგიდა არჩიე! მეღანს — არაყი არჩიე! კალამს — ჩანგალი არჩიე!.. და, ლექციების მოსმენას, სადღეგრძელოს თქმა არჩიე!.. დაღიხარ ისე ამაყად; გსურს, თავი ისე გეპიროს, — მსოფლიო მნიშვნელობისა, თითქოს რამ აღმოგეჩინოს! არც უფროსსა ცნობ, არც უმცროსს! შენს თავის გარდა, ცნობ არცის!

ტრახბახო, მაგარ სახმელთა რომ ხარ ცოცხალი ცნობარო! ხან იმ ზომამდე შეტოპავ, — ხარ სუფრის ნანადირევი! ფეხშიც ირევი, ენაშიც, ცხაღია ტვინშიც ირევი. რჩევას არვისას ღებულღობ, თუნდ რჩევა ნაღდად გენიშნა! როგორ?! შენს უმთვრალე სობას ვინმე შეჰკადრებს შენიშვნას?! თუ ავტობუსში — „ნუ სწევო!“ — გითხრეს, შენ ცეცხლად ინთები!.. ბოლიშს არ იხდი — პირიქით — მგზავრს დანით გაეკიდები! თუ ვინმემ გკითხა: „რატომ სვამ?!“ — ოქცივი აღმას კბილებად, დაუღრიალებ, გაატან ხუთსართულიან გინებას!.. სხვის ნათქვამს ხვდები მრისხანედ, იფთქებ, როგორც ატომი! შენი ლანძღვით სიტყვები, ალბათ, გამოვა ცხრა ტომი! ხრიალ-გრიალით დაღიხარ, როგორც უსაპნო კარეტა!.. შენზე თვით სამჭერ უნენსაც გზას არ დაუთმობ კარებთან!.. ... რომ დარიგება ამდენი არ იქნა, არ გეკარება, მიწას ხომ უჭირს და უფრო ხალხს უჭირს შენი ტარება!..

გიორგი შეთეაშვილი

პეპეპოტი ერთგანთი!

იუზორესკა

დავპლიოთ აზიური სიმორცხვე, ვეძებოთ, გავიცნოთ ერთმანეთი, თორემ ლამის გადაგვარდეს ერი! აბა, მიმოიხედეთ ირგვლივ, რამდენი დადის მარტო, რამდენი ელოდება ბედის კარზე მოკაკუნებას! ბედი კი... ბედი ასე ჰაიპარად არ დადის და არ აკაკუნებს კარებზე! ცოტა ჩვენც უნდა გავისარჯოთ, ცოტა ჩვენც უნდა მივეშველოთ მას ამა თუ იმ ეულის მისამართის დადგენაში! არადა, რამდენი დადის კენტად, რამდენი გული დაეძებს გულს, რამდენი ირემი დაეძებს ცალს!.. დღეიდან ჩვენი ჟურნალი სისტემატურად დაუთმობს ადგილს ერთმანეთის გაცნობის მსურველთა განცხადებებს. მაშ ასე, დავძლიოთ სიმორცხვე!

— : — : —

პარ 32 წლის, 168 სმ სიმაღლისა, გამხდარი, სიმპათიური, ქერა; მყავს მეუღლე და ორი შვილი. მიყვარს ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, მოგზაურობა!.. შესაფერის ინტელიგენტ ადამიანს ღირსეულ მეგობრობას გავუწევდი!

— : — : —

ვცხოვრობ თბილისში, ვარ 40 წლის, ცოლშვილიანი, ოჯახის კაცს მიძახიან. მიყვარს მეგობართა წრეში ყოფნა, მუსიკა, ლიტერატურა, სპორტი!.. ვეძებ უმაღლესი განათლების მქონე პატიოსან, კეთილი ბუნების ადამიანს, სასურველია იყოს გათხოვილი!

— : — : —

37 წლის ვარ, საშუალო სიმაღლისა და წონის, შავგვრემანი, გამხდარი. ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოვიყურები. ვცხოვრობ მეუღლესთან ერთად ორთახიან იზოლირებულ ბინაში. მიყვარს ქსოვა და კერვა. დავემეგობრდებოდი 45 წლის ასაკამდე მაღალ, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცს!

— : — : —

პეპეპე 22-24 წლის ასაკამდე მხიარული ბუნების მეოცნებე გოგონას. პროფესიით მხატვარი ვარ, 34 წლისა. ახლახან დაქორწინდი, მაქვს სახელოსნო!

— : — : —

მყავს 38 წლის გათხოვილი მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე და ოჯახის ქალი, ეხერხება ქსოვა, კერვა, განსაკუთრებით გემრიელი კერძების მომზადება. მშვენიერი გარეგნობისაა. ის მამაკაცი, რომელიც მას გაიცნობს და დაუმეგობრდება, არ ინანებს!

— : — : —

პარ მაღალი, გამხდარი, ელეგანტური შესახედაობის. გვიან დავოჯახდი, ალბათ ამან განაპირობა ის, რომ დღემდე ვერ მიბოვია გულის სწორი. ახლახან გამოვიყვანე „ფიგულის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა 06—03-ის ძრავით. მიყვარს ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა!.. ვეძებ მხიარული ბუნების ადამიანს!

— : — : —

პარ პედაგოგი, 37 წლის, ცოლშვილიანი, ვცხოვრობ რაიონში, მიყვარს ჩემი საქმე, რომელსაც მთელი მონდომებით ვემსახურები. ვარ დინჯი ბუნების, თავშეკავებული. ვეძებ კარგი ოჯახის ქალს 30 წლის ასაკამდე, რომელიც ჩემს თვისებებს დააფასებდა. სასურველია, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს!

— : — : —

პარ მეცნიერებათა კანდიდატი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დავქორწინდი. მთელი ჩემი საუკეთესო წლები სტუდენტობის ვინრო ოთახში გავატარეთ მე და ჩემმა მეუღლემ. ახლახან ბინა მივიღე, რაც დიდი სიხარულია მთელი ჩემი ოჯახისთვის. ვამზადებ აბიტურიენტებს. მიყვარს მეგობრებში ყოფნა, ტურიზმი. შესაფერისი ბუნების ადამიანს ნამდვილ მეგობრობას გავუწევდი!

— : — : —

პარ 62 წლის, საშუალოზე ოდნავ მეტი სიმაღლის. მიყვარს ხელოვნება, სამზარეულოში ფუსფუსი. ადამიანში ვაფასებ ერთგულებას და პატიოსნებას. ახლახან ბაბუა გავხდი. შვილიშვილის სიყვარულმა ყველაფერი დამავიწყა. მინდა მყავდეს მეგობარი, რომელიც ჩემს სიხარულს გაიზიარებდა. სასურველია იყოს 30 წლის ასაკამდე, უმაღლესდამთავრებული!

წიგნის ბარათი

შენი რაცხნი რაოულაი ფანი

ქვემოთაა
ნიკოტინისა

პაპოლუტი

დედადე აუხსნელია შენი ფენომენი!
ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარ, თვითონაც არ იცი!
შენი გონების მძლავრ იმპულსებს ითვისის სამყარო დღევანდელი,
წლებად, ეპოქებად, ქორონიკონებად, მაგრამ ერთ მცნებად იგი
ვერასოდეს ვერ შეიკონება!

ადამიანო, ჰომო ჰაბილის!

შენ დაიპყარი ირგვლივ სივრცე, დრო და მანძილი, განავრცე
ზრახვის საუფლონი, სულ შორს სწევ მიჯნებს, ჯერაც არ არის
საბოლოო შენი სამიზნე!..

ადამიანო, ჰომო ჰაბილის!

ვერა, ვერ იქნა, ვერ დაიცხრე პყრობის ნადილი, ჩეხე ტყეები,
თესე ხორბალი, ჯერ ყველა ტვირთი ზურგით ატარე, მერე შეს-
ძელი გორვა ბორბალით და იმ ჭაბანში სხვები შეაბი, ჯერ —
ცხოველები, მერე — ორთქლი, მერე — ელექტრო!.. ურმიდან —
ეტლზე, ეტლიდან — ძრავზე!.. ასე ახვედი, მინის მპყრობელი,
ეპოლოგიურ პირამიდაზე!..

ადამიანო, ჰომო საპიენს!

შენ კვლავ განაგრძობ სივრცეთა პყრობას, ეძალვი კოსმოსს
სამყაროს ერთი და შეუცვლელი, მარადიული დიდი მხედარი,
მაგრამ არა ხარ კმაყოფილი შენი ხვედრის, არ ხარ ნეტარი!

შენ უკვე თითქოს რაღაცას ხვდები, გრძნობ, მაგრამ არ
გსურს, დაიჯერო, რომ ფატალურად ღუპავ სამივეს! გარემო ჰა-
ერს, წყალსა და მიწას, შენს მყუდრო აკვანს, დედას საფიცარს,
მთლად ოკეანის მიმოქცევის რიტმით რომ გარწევს და იონოსფე-
რის ფაფუკ საბანს რომ გახურავს და ისე გიცავს!..

ადამიანო, ჰომო საპიენს!

შენ არ ისვენებ და აწყდები ღელვით ნაპირებს, თხრი მალა-
როებს, კარიერებს, თხრი ჭაბურღილებს, ერთად აკეთებ გზას სა-
ჩინოს და გზას უხილველს!..

შენი ზრახვებით და იმედებით ბათქუნობს ურო, დულს ფო-
ლადი, ხრჩოლავს ბრძმედები!..

ინვის ნახშირი, ინვის ნავთი, ინვის ბენზინი!.. შენ თვითონ
გიჭირს და პირს აბჩენ და მხრჩვალ თევზივით!..

ნუთუ, ყოვლის პყრობის ჯიუტ სურვილს გონიერებით ვერ
დათრგუნავ, ვერ მოსდებ აღვირს?! რაც ცას შეტყორცნე, ხომ
ატყობ, რომ უკან გხვდება, ვით ბუმერანგი?!
ცას ჭვარტლს უშენენ თბომავლების და გემების კვამლის მი-
ლები, მათ უმატებენ მტვერს და სანამლავს ქარხნები, დიდი
ფაბრიკები, კომბინატები!.. და იღრუბლება მთლად ატმოსფე-
რო — გამთბარი მტვერით, შხამით, აირით, მერე ცივდება და
ძირს ეშვება ხან მყავე წვიმად, ხან შავ თოვლად, ხანაც არის
სულ სხვანაირი!..

სმება ტყეები ევროპაში და უკვე ჩვენშიც, კვდება ფოთლები —
დედამიწის მწვანე ფილტვები და შენამლული ველ-მინდვრები და
ჭალაკები უღვთოდ დახოცილ ჩიტუნიებს ველარ იტყვენ!..

განისვენებენ უდაბნოში ფარაონები, ქარხნული შხამის ოხში-
ვარი ცოცხალთ ხვედრია, ანგელოზთ უჭირთ ნირვანაში ყოფნა
უთუოდ, ცა რომ გაჯერდა ფრეონებით, შენ გაყვედრიანი!

ადამიანო, ჰომო საპიენს!

შენ ახლა უკვე წარბი შეჭკარ, ოლონდ ნამიერ!.. ცა გარღვე-
ული რომ იხილე ოზონის ხვერელით, მიხვდი, რომ შენი ეს ნალვე-
ნი დედაბუნებას კლავს, ხოლო ხვალ-ზე კი შენ თვითონაც თავს
მოიკლავ საკუთარ ხელით, რადგან უკვე იცი, რომ ამ ხვერელი-
დან ყოველწლიურად გაედინება ოზონის მთელი რაოდენობის
სამი პროცენტი, ეს უკვე ცხრა ათასი ადამიანის სიკვდილია, ან
უფრო მეტის!..

ადამიანო, ჰომო საპიენს!

შენს მიერ ბოთლიდან ამოშვებული ჯინი, ქიმი-ჯადოქარი,
ახლა უკვე თავის ნებაზე ბევრს მიქარავს! შენ გიხაროდა, რომ
მასზე ალზევდი, ნაგაზივით გეჭირა თოკით და მავნე მიკრობებზე,
ათას სენზე სხვაზე აქებუდი, ახლა აქეთ მოგიბრუნდა და ლაინე-
რების ტურბინების, ავტომანქანების საქშენების, ქიმიკომბინატე-
ბის საკვამლე მილების შავი ხახვებით მოგჩერებია, მოგჩერებია
და დამიზნებით, აუცდენლად ურტყამს შენს ფილტვებს რადიაცი-
ულ ტყვიას, აზოტის ორჟანგს, გოგირდის ანჰიდრიდს, სხვასა და
სხვას!..

გაუძლებს კი ამდენს შენი დაცხრილული ფარი?!

ადამიანო, ჰომო საპიენს!

სხვაგან სად ჰპოვებ დედის მაგიერს?! შენი დედამიწის ცის-
ფერი ძარღვები — მდინარეები შენგან არის ჩანარეცხი წყლებით,
მღვრიე, შიგ ალარ დარჩა არც ლიფსიტა, არც ღლავი, რადგან
ზღვრულად გაჯერებულია შავი სანამლავით!..

ჭუჭყისა და შხამის რეზერვუარად იქცა მსოფლიო ოკეანე, იქ
ყველაფერი კვდება და ლბება, წყლიდან გამოდინ და ნაპირზე
თავს იკლავენ ვეშაპები, მორუები და სელაპები!..

ინამლება ზღვის ლომი, დელფინი, პინგვინი!.. ინამლები
შენც — სამყაროს გვირგვინი! განსაკუთრებით ეცემა სიცოცხლის
ხანგრძლივობა ჩვენში, დღესდღეობით ორმოცდამეხუთედ ადგილი
გვიკავია მსოფლიოში!..

ინამლებიან პატარებიც, ბალანები ერთი ცივები!.. როგორ
გინდა ააცილო მათ ან ნიტრატები ან პესტიციდები?! ვერა, ვერ
ვიცავთ პატარების სიცოცხლეს და სამარცხვინოდ ჩამოვრებით
ამ საქმეში — ორმოცდამეოთხე ადგილზე ვდგავართ მსოფლიოში!

ადამიანო, ჰომო ნოვუს!

ან შენი ღვიძლიც ველარ უძლებს შხამქიმიკატით გაჯერებულ
ბოსტნეულს, ქიმიურ აჯაფსანდალს, ქიმიურ სოსს!..

ყველა შენ მარცხს, ბედისწერას, ღმერთს აბრალებს მისი რა
გადასახადია?! თვითონ შენს მიერ შექმნილ ყველა სახის სიკვდი-
ლის იარაღის სამიზნეს შენი ფიგურა ახატია!..

შენი ხელით ივსება სასიკვდილო განაჩენის ყოველი ფურცე-
ლი, შენ მოგჩერებთან სიკვდილით გატენილი ზარბაზნები, რაკე-
ტები, ჰაუბიციები!..

შენზეა დამიზნებული სიგარეტების ლულები!.. დიახ, სიგარე-
ტების, რადგან მას უშვერ გულმკერდს თავგამეტებით!..

ფილტვი ნიკოტინის მხოლოდ 25 პროცენტს თუ აკავებს, და-
წარჩენი შენში! ნიკოტინი კი, შხამით ციანმზავს ედრება, მათი
სასიკვდილო დოზა ერთნაირია — 0,08 მილიგრამი იმ მომენტში,

ნ.ბ. ბ. ფუბაუგვილისა



როცა მწველი ნაფაზს არტყამს, სიგარეტის ბოლოზე ტემპერატურა 600 გრადუსია, ამ დროს აქტიურდება და შედის ორგანიზმში ნახშირორჟანგი, მხუთავი გაზი, ციანმჟავა, აზოტის ორჟანგი, ამიაკი, რადიოაქტიული პოლონიუმი, რადიოაქტიული ტყვია, დარიშხანი, გოგირდოვანი გაზი და ბისმუტი..

რად დაივინე სიცოცხლის ფასი, რისთვის გინდა გქონდეს ტურის, ხორხის, ენის, ფილტვის კიბოთი დაავადების შანსი?!

ადამიანო, ჰომო საპიენს!

კიდევ სად ეძებ ახალ სარბიელს?! ავტოს, ელმავლის, რაკეტის პატრონს, რად შეგეხარბა ეშმაკის ცხენი?! ნუთუ, ხვედრზე ხარ ასე ნაწყენი?!

ეშმაკს ბლომად ჰყავს შავი ცხენები, ბნელეთში უმალ გაგაჭენებენ! ფაფარაშლილი, მეტად საშიში, კვამლის ფლოქვებს სცემს აგერ ჰაშიში, მოასკუპდები, გნებას, ჰეროინს და თეთრ ღრუბლებში დაიწყებ როინს!.. მარიჟანა, ტალვინი, რიტალინი, ოპიუმი თუ იაფი კრეკი, რომელი გინდა, ფულის საქმეა, მიიღებ დოზას და ისეთს გრეკავს, რომ, ვით რაკეტა, მიფრინავ ცაში!

მერე გითხოვენ სამუშაოდან, ცოლიც გაგირბის და რჩები მარტო, შენ არას ნალვობ, მხოლოდ ჰაშიში ან კოკაინი, სხვა ვერაფერი შენ ველარ გართობს!

„კარგი რამეა, — მღერის კოკაინზე შენი დაბანგული სული, — მე იგი მაქცევს პარანოიკად და იმპოტენტად! მაშ, მომეცით კიდევ და კიდევ!“

ეს თქვენი — ნარკომანების ჰიმნია!

ადამიანო, ჰომო ნოვუს!

შენ ბევრს დაუშვებ კიდევ ოპუსს! თურმე ნარკომანთა დედაქალაქები, უფრო რეზერვაციები დაგაირსებია! აი, როგორ გამოიყურება ერთი მათგანი:

„შიძლეუბა იფიქრო, რომ ლანდების სამყაროში მოხვდი: ცვილის სახეებიანი ლანდები წველებივით წვრილი დაკორძებული ხელებით ყოველ ნაბიჯზე გხვდებიან. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია მორიგეებითი სამოთხის მძებნელთათვის ციურისის შუაგულში!.. ხეივანებში ცისარტყელისფერი სიკვდილით მოვაჭრენი მშვიდად აკეთებენ თავიანთ საქმეს. ტოქსიკომანები ვენებს იჩხვლეტენ და სხედან ნახშიარი შპრიცებითა და სისხლიანი ბამბის ნაგლეჯებით მოფენილი გუბურის სანაპიროზე. ნარკოტიკის დიდი დოზებით გაბრუნებულები სულისნამღებად გაჰყვირიან!“

ნარკოტიკით რომ თავი მოიკლას, „თეთრი სიკვდილის“ ღიმილი რომ იხილოს, საამისოდ ნარკომანს ბევრი ფული სჭირდება! აქედან იწყება ქურდობა, პროსტიტუცია!..

ციურისი — ნარკომანების რეზერვაცია, ტორონტო — იაფფასიანი ნარკოტიკების სავაჭრო ცენტრი, ნარკომაფიისა და ნარკობიზნესის მარად მოძრავი ქანქარის ერთი ამპლიტუდაა, ოღონდ არა ერთადერთი!

ადამიანო, ჰომო ნოვუს!

რად არ იხსენებ შენს ძველისძველ და კეთილ ნოეს?! რად მიეღვი მისტიკას, მალალ ეშპირიას, განა რის იმედი გაქვს იმუნიტეტის სუსტეუბიანიანს?!

სტრიპტიზი, სექსი, სოდომის ცოდვა!.. და ღვთის სასჯელი — შიდსი ზნეობის საყრდენამოცლოლი ადამიანის მიერ შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, რასაც მილიონთა სიცოცხლე მიაქვს და არავინ არის მათი ქომაგი, გადამრჩენელი!..

რადიოაქტიური ტყვიითა და მავნე აირებით დაკემსილი შენი ფილტვები, ყოფითი შხამებით, პესტიციდებითა და ნიტრატებით გასივებული შენი ღვიძლი!..



ყოველმმუსვრელი შიდსის ვირუსით გადაქელილი შენი იმუნოლოგიური ბარიერი!..

შენი დაცხრილული ფარი!..

კიდევ რის იმედი გაქვს, ადამიანო, ჰომო საპიენს?!

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო! — ალბათ მიპასუხებ!

დაიბ, როცა გაგიჭირდა, ეკოლოგიაც მაშინ გაგახსენდა — დედაბუნების მოვლის ერთადერთი და შეუცვლელი კანონი, წესი, მეცნიერული აზრი!

ინტელექტს მოუხმე და მალლით გადმოხედე სიცოცხლის პირამიდას, რომლის წვეროზეც დგახარ, როგორც მბრძანებელი და მისი დოვლათ-სილამაზის მომხმარებელი!

გადმოხედე და შეგზარა ხილუმმა: ფუძე, პირველი საფეხური, ფევე მორყული აქვს პირამიდას — ფოთოლი კვდება, ყველაზე მგრძნობიარე ნერვი სინათლისა, რითაც დედამინა მზეს აბია!

უნდა იჩქარო, რაც შეიძლება მალე მიხედო სიცოცხლის პირამიდის ქვედა საფეხურს, რადგან დანარჩენი საფეხურების გადარჩენა მისგან იწყება!..

წვეროზე ასვლას მერეც მოეხსნები, არავინ შეგეცილება!

ელგუჯა მირაბიშვილი

ნახ. 3. კუციასი



— თქვენც აგვიანებთ სამსახურში?!



— ეს წამალი არ მიიღეთ?

— მივიღე, მაგრამ ალერგია დამეწყო!

ყველაძეს სტუდენტები!

იუმორისკა

რექტორი: — ყველანი ვართ? მალ-ლივის პრორექტორი არის?

ანდრო: — გახლავართ!

რექტორი: — დაბლივის?

იზა: — გახლავართ!

რექტორი: — აღმზრდელობითი?.. გასვლითი?.. აღმასვლითი?.. პერსპექტიული?.. დავინწყით?

კაკო: — სტუდენტი გვაკლია!

რექტორი: — ანდრო, გაიხედე, ერთი ფანჯარაში, კორპუსის წინ ხომ არ დგას და ხელში რამე ხომ არ უჭირავს?

ანდრო (იხედება): — კორპუსში შემოდის! (ჯდება თავის ადგილზე).

რექტორი: — აგაშენა ღმერთმა! დღის წესრიგი ყველას გაქვთ? პრინციპული მსჯელობაა საჭირო! ძველებური ლაილით აღარაფერი გამოვა!

კაკო (საზვიამოდ): — სტუდენტი მოვიდა!

სტუდენტი: ამაყად შემოდის. ხელში გრაგნილი უჭირავს. ყველანი ფეხზე დგებიან: — გამარჯობა, ქალბატონებო და ბატონებო! (ყველანი ტაშს უკრავენ). მე ვფიქრობ, ყველანი ვგრძობთ მომენტის სერიოზულობას. დაბრძანდით! მე, როგორც სტუდენტმა, უნდა განვაცხადო, რომ ეს რევოლუციაა! გარდაქმნა კრების წინასწარ დაწერილი რეზოლუცია კი არ არის, არამედ რევოლუციაა! (ტაში). დიას, რევოლუცია და არა — რეზოლუცია! ვინც „ზ“-ს და „ვ“-ს ვერ არჩევს, გარდაქმნასთან არაფერი გესაქმებათ! მორჩა ის დრო, სტუდენტი რომ ლექტორის წინაშე ქედს იდრეკდა, დეკანისა და პრორექტორის დანახვანზე კანკალებდა, ლექცია-სემინარის გაცდენისა და ხმამაღლა ლაპარაკის ეში-ნოდა. იყო თუ არა, ასე?

ყველანი: — დიას, სამწუხაროდ!..

სტუდენტი: — ვის უხსნიდნენ სტიპენდიას? სტუდენტს! ვის რიცხავდნენ უნივერსიტეტიდან? სტუდენტს!

რექტორი: — მერე ხომ აღვადგენდით?.. აბა, ვინ გავრიცხვებთ და აღარ აღვადგინებთ?

სტუდენტი: — დაკარგული წლები? სტიპენდია? ნერვები? შეღახული თავმოყვარეობა? მორჩა ეგ ამბავი!.. — სტუდენტმა სტუდენტად უნდა იგრძნოს თავი! (ტაში). უნდა გარდავიქმნათ, ქალბატონებო და ბატონებო!

ყველანი (სკანდირებით): — გარდაქმნა! გარდაქმნა!

სტუდენტი: — მე, როგორც სტუდენტმა, უნდა განვაცხადო, რომ ის ცვლილებები, რაც უკვე მოხდა, ზღვაში წვეთია, როგორც ყოველთვის, სანახევრო ღონისძიებებია. ლექცია-სემინარების ორი აკადე-

მიური საათიდან ერთ ასტრონომიულზე დაყვანა არ არის ურიგო, მაგრამ რატომ უნდა იყოს სავალდებულო? რატომ არ უნდა იყოს დასწრება თავისუფალი? იქნებ თქვენ თავისუფლების წინააღმდეგი ხართ?

ყველანი: — არა, რას ბრძანებთ!

სტუდენტი: — უნდა შეიცვალოს გამოცდის მოძველებული ფორმა დასაიდუმლოებული ბილეთებით. ვის ვუმაღავთ, რას ვუმაღავთ? სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს, რას ჰკითხავენ! საჯაროობა თუა, საჯაროობა იყოს! (ტაში). თუ საგამოცდო ბილეთებს არ მოსპობთ, ქუჩაში დავდგები და ხელში პლაკატს დავიჭერ (გრაგნილს მაღლა წევს).

რექტორი: — უსათუოდ ვიმსჯელებთ მაგ პრობლემაზე!

სტუდენტი: — ისევ მსჯელობა, თათბირომანია, ბიუროკრატიაში.. როდემდე?! მივიღივარ ქუჩაში!.. (ყველანი შემოეხვივნენ, არ უშვებენ).

რექტორი: — ბილეთები აღარ იქნება, პირობას გაძლევთ!

სტუდენტი: — სიტყვას კი არა, დაწერილს არ ასრულებთ ხოლმე! კენჭი უყარეთ და დააფიქსირეთ!

რექტორი: — ვინ არის მომხრე? წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? (ანდრო ხელს იწევს).

სტუდენტი: — თავშეკავებულობამ მიგიყვანა დაღუპვის პირამდე!.. მე ვფიქრობ, თავშეკავებულებისათვის გარდაქმნა არ არსებობს (ანდრო საჩქაროდ დაუშვებს ხელს).

რექტორი: — ერთხმად!.. მომილოცავს, ბილეთები აღარ იქნება!

სტუდენტი: — საკუთარ თავს მიულოცეთ — ბილეთების შედგენა აღარ მოგიწევს! მე, როგორც სტუდენტმა, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს შორის მეტი ურთიერთგაგება და კოლეგიურობა უნდა იყოს, ჩემი სატივივარი თქვენ უნდა გტკიოდეს! გტკივთ?

ყველანი: — გვტკივა, მაში!..

სტუდენტი: — ძალიან მეჭყვება! სად არის შემირებული ვიდუობარი?

ანდრო: — სექტემბრიდან ვხსნით მეორე კორპუსის სარდაფში.

სტუდენტი (განწმამატებული): — რატომ სექტემბრიდან? რატომ სარდაფში?

რექტორი: — სხვანაირად არ გამოდის!..

სტუდენტი: — საშველი არ არის!.. წავედი ქუჩაში! (გრაგნილის გაშლას აპირებს. შემოეხვივნენ, არ ანებებენ).

რექტორი: — პირველ კორპუსში გაგხსნით, ოთხმოცდამეცამეტეში!

სტუდენტი: — აპარატურა?

რექტორი (ანდროს, სტუდენტმა რომ არ გაიგონოს): — იაპონურს გავახერხებთ? (ანდრო თავს აქნევს უარის ნიშნად). ფრანგულს? (უარი) ფერგე? (უარი). (სტუდენტს): — პოლონურს დავდგამთ!

სტუდენტი: — ასეც ვიცოდი! (წასვლა უნდა). ყოველ მეორე ოჯახში „ტოსიბა“ და „პანასონიკი“ დგას თბილისში. უნივერსიტეტი რა გახდა?

რექტორი: — ვიყიდით. ზაფხულის ხელფასზე ფულს შევკრებთ და ვიყიდით!

სტუდენტი: — სტიპენდიას რატომ არ მიმატებთ? ოცდაათი წელია, შაური არ მომატებია. ყველაფერი ხუთჯერ გაძვირდა. გასტროლოგორზე ბილეთი ხუთი მანეთი ღირს, „მარლბორი“ — თუმანი!..

რექტორი: — რატომ ენევით „მარლბორი“?

სტუდენტი: — აბა, რა მოგწონს, „ტემპი“? იქნებ საერთოდ ამიკრძალოთ მონვევა? იქნებ პაერით სარგებლობაც ამიკრძალოთ?

რექტორი: — რას ბრძანებთ, ჩვენ გვესმის თქვენი!

ყველანი: — ჩვენ ყოფილი სტუდენტები ვართ!

რექტორი: — იმ კვირაში ექსკურსიაზე გაგიშვებთ, სამოგზაუროდ!

სტუდენტი: — ისევ ბუხარაში?

ანდრო: — ამჯერად ბალტიისპირეთში, ოცი დღით.

სტუდენტი: — ასეც ვიცოდი! პარიზსა და ვაშინგტონში თქვენ უნდა ისეირნოთ, მე — ტალინსა და რიგაში! მაგას ქუჩაში გასვლა სჯობს (წასვლას აპირებს).

რექტორი: — ლონდონში გაგიშვებთ ერთი თვით!

სტუდენტი: — სენქ იუ ვერი მარ!

ანდრო: — არაფრის!.. კოლეგები ვართ!

სტუდენტი: — თუ კოლეგები ვართ, სტუდენტური ჰიმნი ვუმღეროთ ჩვენს ალმა მატერს — ცოდნის ძუძუს მანოვებელ დედას! აბა, ერთხმად, გაუდევამ უს ი!

(ყველანი მღერიან ძველებურ სტუდენტურ ჰიმნს ლათინურ ენაზე, რომელიც იწყება სიტყვებით: „გაუდევამ უს ი გიტურ, იუვენეს დუმ სუმუს“ — „ამგვარად, გავიხაროთ, ვიდრე ახალგაზრდები ვართ“)

სტუდენტი გაშლის გრაგნილს, რომელზეც წერია: „თავისუფლება — დამწყვედებულ ლომებს!“

ლერი ჩანტლაძე



— სურათს მარტო შენ გიღებ, როგორც მოწინავეს,
და ეს ძროხები რაღაა?!
— ესენი მომავალ ახალ წლამდე ვერ მიაღწევენ და
სურათი მაინც დარჩენს სამახსოვროდ!


მეგობრული


დღეს, ვით ვხედავთ, მთიდან მთაზე
გაღინასკვა ცისარტყელა!
რადგან სოფელს ბევრი ტოვებს,
ქალაქისკენ გარბის ყველა, —
დროა რაღაც მოვიფიქროთ,
თუ მწვანელი გვიყვარს ეგზომ,
სჯობს ჩავთესოთ ყუთში თესლი,
ვისაც არ გვაქვს დიდი ეზო!
ჩვენ, ვინც ქალაქს ვერ ვშორდებით,
სჯობს იღებდეთ ჩვენზეც ზომებს:
სახლის თავზე ხავენახე
და საბოსტნე მოგივოშმეთ!
იატაკზე ხილი დავრგოთ
და ერთმანეთს გარჯა ვუქოთ,
თან ხაღორეც გავაკეთოთ,
რომ ღორები დავასუქოთ!
ყველი ახე ძვირი რომ ღირს,
დარდისაგან გუული ოხრავს!..
მეთოთხმეტე სართულზე ვარ,
მეც დამიბით ერთი ძროხა!
ცხოველ-ფრინველთ სამყაროდა

თუკი სოფელს თვლიდნენ წინათ,
დღეს ლოჭებში უქანდაროდ
გამოვზარდოთ კრუხ-წიწილა!
კიდეც კარგი, ხასმელბზე,
საუბარი მიაქვს ნიავს,
ზოგს წნევა აქვს, ზოგს — სკლეროზი,
ზოგს ინფარქტის ეშინია!
ბევრი ჭამს და ცოტა თესავს,
ახე გადის წელწაღი!..
ვაჰ, თუ დაგრჩეს მოგონებად
ლობიო და ცხელი მჭადი!
სხვა რაც კირი გვემართება,
აღარ არის გასამზელი:
სანატრელად გადაგვექცა
ორშიშო და საწნახელი!
სოფლისაქენ მოვისწრაფვით,
გვინდა ტკბილად ვიდილინოთ,
ცხოვრებისგან გადალილებს,
გვენატრება სუფთა ღვინო!
ძალი პატრონს მართლაც ვერ ცნობს,
აირია ერი, ბერი!..

პოდა, რახან გარდაქმნა,
ჩვენც გარდაქმნათ ყველაფერი
ახლა, აბა, რაღა არის
დანაკარგი, ან საპოვნი?
სარეცხის ფხვნილს ვინღა ჩივის,
სანატრელი გვაქვს საპონი!
ტანსაცმელს ვეღარ ვრეცხავთ,
ვუფრთხილდებით, რაც გვაცვია!..
ჩვენც სოფელში დავბრუნდებით,
თუ გვიშველის მიგრაცია!

ეთერ ჯიშპარიანი
(ქ. ვიათრა)





უსიტყვოდ

მისკალ - მისკალ



გედად, დანაშაულის უქონლობის გამო, არ მხვდა რეპრესირებულს აღმეწერა გაციმბირების სატანჯველი. ის კი მაქვს აღწერილი, თუ რა სანატრელად გამხდომია გაციმბირებულის ხვედრი დასავლეთის, ბრიანსკის, კალინინის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის ფრონტებზე მეომარს, ტყვეების დელგმაში საბნად ცისა და ლეიბად მიწის მქონებელს, "ტიგრებისა" და "ფერდინანდების" წინაშე "ნი შაგუ ნახად!"-ის უფლებამოსილს.

მე თუ წარსულის საინტერესო დიდ პიროვნებას სიტყვას ვეტყვი, მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან და ვერასგზით — მისი პიროვნებიდან, რადგან მისი პიროვნება ციურ მნათობთა უშორესად იდგა ჩემგან.

მაგრამ არც ბაჩანა ასულა მუხაზე მის აღსაწერად; გარემატყერლის შთაბეჭდილებით კი ასეთი ოქროს სტრიქონები დაგვიტოვა სულმნათმა:

„მუხავ, მიყვარხარ, ტიალო, განმარტოებით მდგომარევი“

მეზარალთა გარკვეული წრე ამ წრის გარეთ მდგომი მწერლის მოწონება-შექებაზე ისე რეაგირებს, როგორც ზენათი რეაგირებდა ხოლმე თავის ბოსტანში ბაკულას დამშეული ღორების შემოსევაზე.

ჩანს, ჩვენი პატივცემული წრის ბოსტანს შემოლობვა არ ჰყოფნის — მის ტრუბიაც სკირდება და ჰყავს კიდევ აშვებულად.

საკუთარი ფეხით ქვეყანამოვლილი რას მივედრები სხვათა მხრებით ნატარებ ძლიერთა ამა ქვეყნისათა!

ვოგნი სხვის პატიოსნებას ისე აღიქვამენ, თითქოს ხელში ხიწვი შერჭობოდეთ.

გადარჩენაზე უფრო განმაცვიფრებელია იმან, რომ სამყარო ერთი წამითაც არ შეჩერდა 9 მაისს.

მეზარალი და მკითხველი, მძლოლი და მგზავრი! მეორენი მეტწილად პრეტენზიულნი არიან პირველთა მიმართ.

ცინხად ვექვეცი რომანებს, ტრაგედიებს, კომედიებს; ჩანს, ციხე მაგარი შეიქნა, ამდენ ხანს რომ არ გამოტეხეს.

ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფია ის ეშელონია, ჯერ ელმავალი რომ არ მიბმია, — არა მაქვს მთავარი წიგნი!

გულმომწყალევავე! რა სიამოვნებით გადავრიცხავდი შენს ფონდში, რაც მეკუთვნოდა და არ მომცეს!

ვლადიმერ თორდუა

ასალ ნელს დაბადებულ ლაპარიას!

დღეს შენ უნდა იყო მხიარული, მაგრამ შენს თვალეში ავდარია, ისევე დარდისაგან გტკივა გული, აპრილი ელჭექმა გადარია!

აპრილმა კვირტებშივე რომ დახეტყვა, ის ჩვენი სისხლი და ჯავარია, და დღეს სალაღობო გითხრა სიტყვა, და დღეს რომ გიმღერო, რავარია?!

ჩვენზე რომ ქირქილებს, ცოტა და, ჩვენზე ცრემლებს რომ ღვრის, მრავალია ახლა სიხარულიც ცოდვაა და, ახლა ამღერებაც ზღაპარია!

დღეები მოწყენილად მიქრია და, შენ რაც წმინდა ვალად გაბარია, — ეს სამშობლოზე ფიქრია და, ქართული ზეცა და მთა-ბარია!

ის შენი ცრემლით დანამული და შენი ლოცვით გამოთბარია! ბედმა დაგვიჩინა გაზაფხული, წელს საქართველოში ზამთარია!

ვერა, ვედარ ხედები ისე ვნებით ამ ცახს, ამ ცისკრებს და ამ აიხებს! აპრილის გლოვის შემდეგ იცრემლები და დიდ საქართველოს ამბიებს!

შენი ეს მღულადი ცრემლები და შენი დარდი — ერის წამალია! მამულს ფიქრით თავზე ევლები და, ახალ წელს მოგილოცავ, ლამარია!

შენებრ ასულების კარგად ყოფნა დღეს სამშობლოსთვის მთავარია! რადგან ჩვენკენ შურით მომზიარალი ბევრი ჯალათი და მტარვალაია!

იყო აპრილისთვის მოტირალი, — შენ უპირველესად გავალაია! წინ ვიწრო გზა და მეწყერია, უკან უფსკრული და ნაპარიაია..

მუდამ შურის თვალით შეგვცქეროან, მუდამ ავკაცობას გვაბარალიან! მუხას მუშლი მრავლად შესევია, მიწა ცრემლის წვიმით დამბალია..

პოდა, დაბადების დღეს გილოცავ მხოლოდ ერთი ლოცვით, ლამარია: ერთ მწვერვალისკენ რომ მიცოცავს შენებრ ასულებით რახანია,

ჩვენს ჭირს აღარ უნდა დამატება, სისხლის ტბა ისევე სისხლით არ აივფოს! შენი იანვარში დაბადება იყოს სამშობლოსთვის სამაისი!

ვანო ცინცაძე



გიჩევა

სახალწლო მეჯლისი-დან მთვრალი მეუღლე გვიან დაბრუნდა შინ, საძილე ოთახის კარი შეაღო და ცოლს გასძახა:
— დაიწყე, გეთაყვა, ლანძღვა, თორემ სიბნელეში ლოგინს ვერ ვაგნებ!

წორი მუსიკოსი

მონია პიანინოზე ახალბედა დამკვრელია, მაგრამ მშობლებმა სიამაყით სთხოვეს პატარას, საახალწლო წვეულებაზე სტუმრებთან დაეკრა.

როცა გოგონამ დაკვრა დაასრულა, ერთმა სტუმართაგანმა, პროფესიონალმა პიანისტმა შეაქო იგი და თან ჰკითხა:

— რატომ პედალზე ფეხს არ აჭერ?

— საქმე ის არის, — მიუგო მორცხვად მონიკამ, — მე ჯერ იმდენად ჩქარა არ ვუკრავ, რომ მუხრუჭებით ვისარგებლო!



ახალ წელს

— სად დაიკარგე, ბიჭო?! შენს ძებნაში სული ამოგვხდა! — უსაყვედურა დედამ გუსტავს, რომელიც სიამოვნებისა და კმაყოფილებისაგან სახეგაბადრული დაბრუნდა შინ.


— მაიერებს ვეწვიე.
— ნუ მოაბეზრებ თავს, მათ ახლა სტუმრები ჰყავთ და შენთვის არ სცალიათ!

— რას ამბობ, დედიკო! დამინახეს თუ არა, ერთხმად მომძახეს, შენლა გვაკლდით!

ახალი წლის საღამოს

— მთელი საღამო ეკრანზე მხოლოდ კოცონს უჩვენებენ! — შესჩივლა ქმარმა ოთახში შესულ მეუღლეს.

— ნაკლები უნდა დაგელია! — მიუგო მან, ჩვენი ტელევიზორი დღეს დილას წაიღეს გასარემონტებლად, შენ ბუხარში იცქირები!



გაუფრთხილება

სახალწლო წვეულებაზე მისული ოტო მასპინძელს უამბობდა:

— ჩემი ცოლი უცნაურ ვითარებაში გავიცანი. მანქანით დავეჯახე, საავადმყოფოში მივიყვანე, რამდენჯერმე მოვინახულე და როდესაც განიკურნა, დაექორწინდი!..

— დიახ, დიახ, ყოველთვის ვამბობ: ადამიანებმა რომ იცოდნენ, საგზაო შემთხვევებს რა უბედურება მოსდევს, მანქანის ტარებისას უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ! — მიუგო მასპინძელმა.

მარაბი

გასტონმა ახალ წელს თავისი მეგობარი ჰარისონი მოინახულა, რომელიც ავად იყო და ლოგინში იწვა. საწოლთან ვისკის ბოთლი ედგა.

— ჰარისონ, ნუთუ ეს არის შენი უკანასკნელი ნუგეში?

— არა, კარადაში კიდევ ერთი ბოთლია!

ნახალწლევს საღალაქოში

რონა და ლექმა სახეზე საპონი წაუსვა, კლიენტი მაშინდა მიხვდა, რომ ოსტატი მთვრალი იყო და შეშინებულმა უთხრა:

— კანს ხომ არ გამიჭრით?!

— ნუ გეშინია!.. შენ მარტო ის მითხარი, ნიკაპი სადა გაქვს!

— ჩემი სიძეა! — მიუგო მან.

— მაშინ, ალბათ, ეს საშინელი მომღერალია დამნაშავე, შეუთანხმებლად რომ კიკინებს! — სცადა ნათქვამის გამოსწორება.

— ეგ ჩემი ცოლია! თანამოსაუბრეს შუბლზე ოფლმა დაასხა!..

— იცი, რა?! ეტყობა, ეს საბრალოები უნიათო კომპოზიტორის გამო თავიანთ ნიჭს ვერ ავლენენ!

— ჩემი ნაწარმოებია, რასაც ეგენი ასრულებენ! — აუხსნა მან.

თხზულება

ახალი წლის წინა დღეებში სტუდენტებს უნდა დაენერათ თხზულება თემაზე: „ბუნების საიდუმლოებები“. ერთმა სტუდენტმა დაწერა:

„ღმერთმა იცის, მე არ ვიცი. ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ბატონო პროფესორო!“

რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა სტუდენტებს რვეულეში რომ დაუბრუნა, იმ სტუდენტმა თავის რვეულში ამოიკითხა:

„ღმერთს — ხუთიანი, შენ — ერთიანი! გისურვებ მხიარულ ახალ წელს!“

**გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა
ილუსტრაციები
ჯეგალ ლოლუასი**

სახალწლო ინტერვიუ

ახალი წლის წინა საღამოს ახალგაზრდა ჟურნალისტი ინტერვიუს ასაღებად მდიდარ ვაჭარს ეწვია. რედაქციას აინტერესებდა, როგორ მიიღწია ამ ვაჭარმა ასეთ სიმდიდრეს.

— ეს საკმაოდ გრძელი ამბავია, — უთხრა ვაჭარმა, — ვიდრე გაიმბობდეთ, მოდი, სინათლე დავზოგოთ!..

ახალი წლის წინა დღეს

— ჰემ, მაშასადამე, გინდათ ათასი კრონი მესესხოთ, მერედა, სად არის გარანტია, რომ ვალს ნამდვილად ნახევარ წელიწადში დამიბრუნებთ?

— პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევთ!

— მაშ, გელოდებით ამ საღამოს იმ კაცთან ერთად!

სახალწლო კონცერტზე

— ძალიან სუსტი აკომპანიატორია — უთხრა კონცერტზე მსმენელმა გვერდით მჯდომს.





სატირკისა და იუმორის

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „სატირკი“ № 1
(1803). იანვარი. გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადუღვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ
ლოლაუა (მხატვარ-რედაქ-
ტორი). ნოდარ მალაზონია,
ალექსანდრე სამსონია, ბე-
ჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადეცა ასაწყობად
4. 12, 89 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 27. 12.
89 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭ-
დი ფურცელი 1,5. საღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ-
ცის გამომცემლობა, ლე-
ნინის 14. შეკვ. № 2611
უე 04750. ტირაჟი 125.000.
ჟურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან-მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
стваели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187



1990

ს ა მ უ მ ბ ი ა რ ი

